ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3665355

ნომერი: AR1552879

თარიღი : 31.10.2017

გაცემის თარიღი : 10.11.2017

გაცნობის თარიღი : 13.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სააკაძე , N 63 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცინცაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კვიტატიანი პ/ნ 62001009767
- სოხუმი ვ.ლაკობას ქ. N 3\53

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ტეტრა" კოდი: 400086562

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 ოქტომბრის №AR1552879 განცხადებით მომართა მოქ. ალექსანდრე კვიტატიანმა და მოითხოვა სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სააკაძის ქუჩის N63-ში, ქ. თბილისში, ცინცაძის ქუჩის N1-ში, შპს ტეტრას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N01.12.13.020.013, მრავალფუნქციური (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 27 ივლისიდან 2019 წლის 27 ივლისის ჩათვლით.
ასევე დგინდება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 11 მაისის №3230442 ბრძანებით გასწორდა ამავე სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა. კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად 2085.8 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდა 2712,6 კვ.მ, ხოლო კომერციულ ფართად დაფიქსირდა 1487.0 კვ.მ ნაცვლად 1584.8 კვ. მ-სა. განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირებულია 10425.5 კვ.მ ნაცვლად 10427.7 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად დაფიქსირებულია 2341.6 კვ.მ ნაცვლად 2352.0 კვ.მ-სა. საოფისე ფართობად დაფიქსირებულია 539.8 კვ.მ ნაცვლად 539.6 კვ.მ-სა, საერთო ფართობად დაფიქსირებულია 19133.9 კვ.მ ნაცვლად 19675.7 კვ.მ-სა.
სამსახურმა 2017 წლის 31 ოქტომბრის №AR1552879 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 10427.7 კვ.მ; საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 2352.0 კვ.მ; საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 539.6 კვ.მ; საერთო ფართობად დაფიქსირდეს 19675.7 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 ივლისის №2034507 და 2017 წლის 11 მაისის №3230442 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.